ირედენტიზმისა და სეცესიის შედარებითი ანალიზი ყირიმის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის შემთხვევებზე დაყრდნობით

ანა ფეიქრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი,

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ფეიქრიშვილი

20.06.2024

აბსტრაქტი

ირედენტიზმი და სეცესია პოსტსაბჭოთა სივრცეში უსაფრთხოებისა და სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. რუსეთი, როგორც ამ პროცესების გარე აქტორი, გეოპოლიტიკური ნარატივებით ცდილობს ირედენტისტული პოლიტიკის გატარებასა და სეპარატისტული ჯგუფების წახალისებას, რათა კვლავ შეძლოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამოუკიდებლობამიღებული სუვერენული სახელმწიფოების ხელისუფლებაზე ზეგავლენის შენარჩუნება.

ნაშრომში წარმოჩენილია ის ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტერიტორიული კონფლიქტის საბოლოო მიზნის - ირედენტიზმის ან სეცესიის წარმოქმნაში. ანალიზი კი ყირიმის ანექსიის, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში სეპარატისტული ჯგუფების წახალისებასა და წარმოქმნილი კონფლიქტების შემთხვევების შესწავლას დაემყარა, სადაც მნიშვნელოვანი იყო ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება.

საძიებო სიტყვები: ირედენტიზმი, სეცესია, სეპარატიზმი, ყირიმი, აფხაზეთი, დნესტრისპირეთი

Abstract

Irredentism and secession are one of the main challenges of security and protection of the territorial integrity of sovereign states in the post-Soviet space. Russia, as an external actor in these processes, is trying to implement irredentist policies and encourage separatist groups with geopolitical narratives in order to be able to maintain influence on the authorities of the sovereign states that gained independence after the collapse of the Soviet Union.

The paper presents the endogenous and exogenous factors that play an important role in the formation of the final goal of the territorial conflict - irredentism or secession. The analysis was based on the annexation of Crimea, the encouragement of separatist groups in Abkhazia and Transnistria, and the study of the cases of the resulting conflicts, where it was important to consider the historical context.

Key words: irredentism, secession, separatism, Crimea, Abkhazia, Transnistria